

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ს/კ 445558520

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშო
წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება:

- სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	5
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	6
- საკუთრი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება -----	7
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	8
1. ზოგადი ინფორმაცია -----	3
2. მომზადების საფუძვლები -----	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე -----	4
4. ამონაგები საქმიანობიდან -----	9
5. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები -----	10
6. ძირითადი საშუალებები -----	11
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -----	12
8. ფული და ფულის ექვივალენტები -----	12
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები -----	13
10. ძირითადი სააღრიცხვო მიმოხილვა -----	14
11. ძირითადი სააღრიცხვო მიმოხილვა (გაგრძელება) -----	15
12. ძირითადი სააღრიცხვო მიმოხილვა (გაგრძელება) -----	16
13. ძირითადი სააღრიცხვო მიმოხილვა (გაგრძელება) -----	17
14. ძირითადი სააღრიცხვო მიმოხილვა (გაგრძელება) -----	18
15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება -----	18

1. ზოგადი ინფორმაცია.

სს „სითი თრაველ ბათუმი“ (445558520), დაარსდა 2019 წლის 20 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა #1, სადარბაზო D, სართული 5, ბინა D405.

საზოგადოების სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდა „სააქციო საზოგადოება“.

2. მომზადების საფუძვლები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - მსს ფასს სტანდარტი) „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს სრულ კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მეცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება ომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში, კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრულ შემოსავლის მუხლებში.

სს „სითი თრაველ ბათუმი“
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ერთეული ლარი

სს სითი თრაველ ბათუმი (445558520)
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	31.12.022	31.12.023
შემოსავალი	4	26,312,638	36,668,170
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(24,247,412)	(34,082,659)
სრული მოგება	✓	2,065,227	2,585,510
სხვა შემოსავალი/ხარჯი		-	-
მიწოდების და კომერციული ხარჯები		(11,710)	(1,347)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(38,947)	(70,782)
შრომის ანაზღაურება		(174,185)	(227,325)
ამორტიზაცია და ცვეთა		(8,362)	(16,059)
იჯარა		(19,882)	(50,550)
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი		279,336	577,041
მოგება დაბეგვრამდე	✓	2,091,477	2,796,546
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში	✓	2,091,477	2,796,546
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		2,091,477	2,796,546


2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ხელმძღვანელოს მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 12 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

/ერქულა ოზთურქ/

დირექტორი:

/ლარა ოზთურქ/



სს „სითი თრაველ ბათუმი“
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ერთეული ლარი

სს სითი თრაველ ბათუმი (445558520)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის

ლარი	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	26,901	22,827
არამატერიალური აქტივები		11,219	64,155
გრძელვადიანი აქტივები		38,120	86,982
მარაგები		60	5,191
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	710,094	5,871,425
ზედმეტად გადახდილი გადასახადები		3,582,962	3,552,664
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	8	257,260	488,472
მიმდინარე აქტივები		4,550,375	9,917,752
სულ აქტივები		4,588,495	10,004,735
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		(10,000)	(100,000)
გაუნაწილებელი მოგება		(2,534,436)	(5,330,181)
სულ კაპიტალი		(2,544,436)	(5,430,181)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	(2,044,060)	(2,540,461)
მოკლევადიანი სესხები		-	(2,034,093)
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები		(2,044,060)	(4,574,554)
სულ ვალდებულებები		(2,044,060)	(4,574,554)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		(4,588,495)	(10,004,735)
		-	0

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან
დამტკიცებულია 2024 წლის 12 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

/ერქუთ ოზთურე/

დირექტორი:

/ლარა ოზთურე/

სს „სითი თრაველ ბათუმი“
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ერთეული ლარი

სს სითი თრაველ ბათუმი (445558520)

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლისათვის

ლარი

2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება
წლის მოგება
განაწილებული დივიდენდი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება
წლის მოგება
წინა წლის შეცდომის გასწორება
განაწილებული დივიდენდი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება
წლის მოგება
წინა წლის შეცდომის გასწორება
განაწილებული დივიდენდი
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


საწესდებო კაპიტალი	განაწილებული მოგება	სულ
10,000	(13,620)	(3,620)
-	-	-
-	756,578	756,578
-	(300,000)	(300,000)
10,000	442,959	452,959
-	-	-
-	2,091,477	2,091,477
-	-	-
-	-	-
10,000	2,534,436	2,544,436
90,000	-	90,000
-	2,796,546	2,796,546
-	-	(801)
-	-	-
100,000	5,330,982	5,430,181
		(0)

დირექტორი:

დირექტორი:

/ერქუთ ოზთურქ/

/ლარა ოზთურქ/



სს „სითი თრაველ ბათუმი“
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ერთეული ლარი

სს სითი თრაველ ბათუმი (445558520)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლისათვის

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31.12.2022	31.12.2023
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	29,265,197	24,128,362
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(26,542,069)	(25,668,378)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(90,299)	(56,748)
გადახდილი გადასახადები	(2,374,526)	1,963,908
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(459,204)	(133,566)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(200,901)	233,578
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გასული თანხები	-	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	-
არამატერიალური აქტივების შესაძენად გასული თანხები	-	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	-
საწესდებო კაპიტალის შევსება		
მოკლევადიანი სესხის აღება		
მოკლევადიანი სესხების დაფარვა		
მოკლევადიანი სესხზე გადახდილი პროცენტი	-	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	-
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა / კლება ნეტო	24,620	(2,366)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(176,281)	231,212
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	433,541	257,260
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	257,260	488,472

დირექტორი:

დირექტორი:

/ერქუთ ოზთაურე/

/ლარა ოზთაურე/

სს „სითი თრაველ ბათუმი“
 სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ერთეული ლარი

სს სითი თრაველ ბათუმი (445558520)

4. ამონაგები

ამონაგები	31.12.2022	31.12.2023
აუდიტის მომსახურება	-	-
თვითმფრინავის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული საკომისიო	95,008	85,481
სააგენტო მომსახურება	25,398,851	34,978,310
ჩარტერის საკომისიო	136,460	-
შემოსავალი საშუამავლო მომსახურებიდან	534,645	1,398,298
ინვენტარის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	-
ინდივიდუალური ტურები	83,026	74,693
სხვა დასაბეგრი შემოსავალი	64,648	131,387
	26,312,638	36,668,170

სს „სითი თრაველ ბათუმი“
 სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ერთეული ლარი

სს სითი თრაველ ბათუმი (445558520)

5. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	31.12.022	31.12.022
საიჯარო ქირა	(19,882)	(50,550)
აიტის მომსახურების ხარჯი	(7,268)	(17,157)
კომუნალური	(2,114)	(7,354)
რეკლამის ხარჯი	(11,219)	(1,347)
სხვა ხარჯი	(10,482)	(62,085)
საგადასახადო ხარჯი	(286)	(245)
	<u>(51,251)</u>	<u>(138,739)</u>

სს „სითი თრაველ ბათუმი“
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ერთეული ლარი

სს სითი თრაველ ბათუმი (445558520)

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	სულ
2021 წლის 1 იანვარი	41,591	41,591
შემოსვლა		-
გასვლა	1,263	1,263
ცვეთა	9,380	9,380
2021 წლის 31 დეკემბერი	30,948	30,948
შემოსვლა	15,534	15,534
გასვლა		-
ცვეთა	9,163	9,163
2022 წლის 31 დეკემბერი	37,319	37,319
შემოსვლა	65,723	65,723
გასვლა		-
ცვეთა	16,059	16,059
2023 წლის 31 დეკემბერი	86,983	86,983

სს სითი თრაველ ბათუმი (445558520)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	31.12.2022	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	660,464	1,030,942
სხვა მოთხოვნები	49,348	4,799,291
გადახდილი ავანსები	281	41,192
	<u>710,094</u>	<u>5,871,425</u>

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ლარი	31.12.2022	31.12.2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	10,903	21,883
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	534	150,079
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	67,122	159,111
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	178701.31	157398.86
	<u>257,260</u>	<u>488,472</u>

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31.12.2022	31.12.2023
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	6,547.99	3,999.99
სავაჭრო ვალდებულებები	830,153.71	2,003,182.23
მიღებული ავანსები	1,207,357.92	533,278.54
სულ მოთხოვნები	2,044,059.62	2,540,460.76

10. ძირითადი სააღრიცხვო მიმოხილვა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოდითქმური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირველადიღირებულების მეთოდებით გადაანგარიშდება პერაციის შესრულების თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, იმტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ, აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნების დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშო პერიოდში ან უფრო ნაკლებ დროში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 დღემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შედგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშნ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯებისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების მიხედვით საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების
ვადა (წელი)

მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულების და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში, არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნება.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისაგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისათვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახდები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენებ წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება საზღვარის ერობის ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერობის საზღვარის კოდეზ. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივებიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. სააქციო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ გამოსაცემად დამტკიცდა 2023 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი:

დირექტორი:

 /ერეკლ ოზთურე/
 /ლარა ოზთურე/